ყველაზე უტყუარი საზომი

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 24 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “დნეპრი” (დნეპროპეტროვსკი) 1:0.

“დინამო”: აბუსერიძე, კეტაშვილი, მახარაძე, ჭედია, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ცაავა, შენგელია.

“დნეპრი”: კრაკოვსკი, ბაშკიროვი, ვიშნევსკი, პუჩკოვი, ბაგმუტი, ჩერედნიკი, კუზნეცოვი, ლიტოვჩენკო, დილაი, პროტასოვი, ტარანი.

კაკილაშვილი, 63–ე წთ.

მე–60 წთ. ტარანის ნაცვლად – ლიუტი, 87–ე წთ. გუცაევის ნაცვლად – მესხი.

მსაჯი: იური სავჩენკო (მოსკოვი).

გააფრთხილეს პუჩკოვი.

კარში დარტყმა – 14:6 (9:3), ზუსტი დარტყმა – 6:2 (4:2), საჯარიმო მოედნიდან – 7:3 (5:1).

კუთხური – 12:4 (9:3).

დუბლიორები – 3:1. თბილისელთაგან გოლები გაიტანეს ჟორდანიამ, ჟორჟიკაშვილმა და გურულმა.

გუშინდელი გამარჯვება ჩემპიონატის ლიდერთან ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო თბილისის “დინამოსთვის” ძლიერი მეტოქე ხომ საკუთარი შესაძლებლობების საუკეთესო და უტყუარი საზომია. ამ თვალსაზრისით “დნეპრთან” მატჩის შედეგს არ შეიძლება არ გავეხარებინეთ, მაგრამ მარტო ეს არ არის. ჯერ კიდევ მაშინ, როცა დინამოელები მოსათელად გამოვიდნენ, დარწმუნებული ვარ გულშემატკივარმა უთუოდ შეიგრძნო რაღაც ახალი, ის, რასაც ასე ველოდით წლევანდელი სეზონის პირველი მატჩიდანვე. არ ვიცი, საიდან ან როგორ ჩნდება ეს განწყობილება, მაგრამ ნამდვილად ასე იყო – მინდორზე საკუთარ თავში დარწმუნებული გუნდი ვარჯიშობდა.

არც თამაშს გაუმტყუნებია მოლოდინი და ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ყველა ფეხბურთელმა პირველიდან უკანასკნელ წუთამდე არაფერი დაზოგა გამარჯვებისთვის.

მატჩი მასპინძელთა იერიშით დაიწყო. მე–3 წუთზე შენგელია ორ მცველს ატყუებს და ურტყამს. ბურთი ცდება კარს. წუთის შემდეგ კაკილაშვილი შეიჭრა “დნეპრის” საჯარიმოში, მერე, მანვე შორდან მოსინჯა მეკარე კრაკოვსკის ოსტატობა. მე–6 წუთზე ჭედია ერთვება “დინამოს” შეტევებში.

თბილისელთა პირველი შტურმი ლიდერმა, ასე თუ ისე, მოიგერია, მაგრამ საკუთარი თამაშის მონახვა გაუჭირდა – მასპინძლები უბრძოლველად არ თმობდნენ მინდვრის არც ერთ კვადრატულ მეტრს. დაახლოებით თანაბარი თამაში 35–ე წუთამდე გაგრძელდა. აქედან მოყოლებული ტაიმის ბოლომდე “დინამო” ერთთავად უტევს. მცველები აქცევენ საჯარიმოში სახიფათოდ შეჭრილ ცაავას. მე–40 წუთი. გუცაევი, უკვე მერამდენედ, იოლად დაუსხლტა ორ მცველს და ბურთი კარის გასწვრივ ჩააწოდა. შენგელიას დარტყმა კუთხურზე მოიგერია მცველმა. 42–ე წუთი. კომბინაცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ცაავა და შენგელია, ერთობ სახიფათო გამოდგა სტუმართათვის.

პირველ ორმოცდახუთ წუთში “დინამომ” ყველა საფეხბურთო პუნქტში დაჯაბნა მეტოქე. როგორც უკვე ვთქვით, “დნეპრი” ბევრს ეცადა, მაგრამ არათუ საჩემპიონო თამაში, მდგომარეობის გათანაბრებაც ვერ მოახერხა – “თეთრებით” მოთამაშე თბილისელებმა თავიდანვე მიაღწიეს უპირატესობას და არც მერე დაუთმიათ ინიციატივა. ამაზე მეტყველებს მატჩის ტექნიკური მონაცემებიც.

მეორე ტაიმში “დინამო” უფრო გამოზომილად თამაშობდა. თუმცა იერიშებზე არც ახლა აუღია ხელი. “დნეპრის” მცველებმა ვერა და ვერ მოახერხეს გუცაევის შეჩერება. ფლანგებიდან ხშირად ერთვებიან შეტევაში განაპირა მცველები არზიანი და კეტაშვილი…

63–ე წუთზე უკრაინელებმა მოიგერიეს სულაქველიძის იერიში, მაგრამ დროებით – კაკილაშვილმა შორიდან უძლიერესი დარტყმით გოლად აქცია დინამოელთა უპირატესობა – 1:0.

ამის შემდეგ ლიტოვჩენკო, დილაი და პროტასოვი რამდენიმე წუთის განმავლობაში სახიფათოდ უტევენ თბილისელთა კარს, მაგრამ ამაოდ. მატჩის მიწურულს მინდორზე გამოსული მესხი ხელად ჩაერთო თამაშში. მისი ერთ–ერთი იერიში სულ იოლად შეიძლებოდა გოლით დასრულებულიყო – ცაავას დარტყმული ბურთი მცველს მოხვდა და კუთხურზე გავიდა.

საერთოდ, ნამდვილი ფეხბურთის ყველაზე სარწმუნო საზომი მაინც მაყურებლის რეაქციაა. ქომაგობით ყველანაირ გუნდს შეიძლება უქომაგო, მაგრამ ტაშს როგორც წესი, მარტო კარგი თამაშისთვის იმეტებს მაყურებელი. გუშინდელი მატჩის განმავლობაში ტრიბუნაზე ძალზე ხშირად გაისმოდა ტაში და გუნდის მართლაცდა კარგი თამაშის ყველაზე ნაღდი შეფასებაც სწორედ ეს არის.

ირაკლი ბერიაშვილი.
25 სექტემბერი, 1984 წ.